ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2015 წლის 26 თებერვალი

ქ. ახალქალაქი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის №16 დადგენილებით დამტკიცებული ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-16 მუხლის შესაბამისად, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

1. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესი, №1 დანართის შესაბამისად;

2. საკრებულოს წევრის ამომრჩევლებთან მუშაობის, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს დავალებების შესრულებასთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოს აღრიცხვის ნუსხა, №2 დანართის შესაბამისად;

3. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივი კომისიის წევრის და საკრებულოს ფრაქციის წევრის მიერ სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოს აღრიცხვის ნუსხა, №3 დანართის შესაბამისად;

4. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოს აღრიცხვის ნუსხა, №4 დანართის შესაბამისად.

5. ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შესრულებისას განხორციელებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა, №5 დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

წინამდებარე დადგენილების ამოქმედების დღიდან, ძალადაკარგულად ჩაითვალოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27იანვრის №1 დადგენილება, "საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ".

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ საგადასახადო ურთიერთობებზე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ჰამლეტ მოვსესიან**

დანართი №1

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესი

1. განისაზღვროს საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებისას გაწეული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა თვეში არაუმეტეს **400 ლარისა.**
2. ხარჯების ანაზღაურება განხორციელდეს ამ წესის პირველ პუნქტში მითითებული თანხის ზღვრული მოცულობიდან, შემდეგი სახით:

ა) საკრებულოს წევრის ამომრჩევლებთან მუშაობის, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად, გასაცემი თანხა დაანგარიშებული იქნას მე-2 დანართის შესაბამისად წარმოდგენილი ნუსხით;

ბ) საკრებულოს მუდმივი კომისიისა და ფრაქციის თითოეულ წევრზე, დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა დაანგარიშებული იქნას მე-3 დანართის შესაბამისად წარმოდგენილი ნუსხით;

გ) საკრებულოს წევრების სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებელი თანხა დაანგარიშებული იქნას მე-4 დანართის შესაბამისად წარმოდგენილი ნუსხით.

3. საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით, საკრებულოს აპარატი, წარმოდგენილ ნუსხებს აერთიანებს დანართი №5–ით გათვალისწინებულ ნუსხაში, ითვალისწინებს არასაპატიო მიზეზით სხდომების გაცდენისა და საპატიო მიზეზით შეუსრულებელი დავალებების (სხდომების გაცდენის) ოდენობას, დაიანგარიშებს ასანაზღაურებელ თანხას და №5 დანართით გათვალისწინებულ ნუსხას დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს.

4. საკრებულოს თავმჯდომარე, ცვლილებებით ან უცვლელად, ამტკიცებს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების შესრულებისას განხორციელებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხას (დანართი №5). დამტკიცებული ნუსხა ხარჯების ასანაზღაურებლად ეგზავნება მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო–საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს.

5. საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, არასაპატიო მიზეზით უფლებამოსილების შეუსრულებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში, საკრებულოს წევრს მიმდინარე თვის ხარჯი არ აუნაზღაურდება.

დანართი №2

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ამომრჩევლებთან მუშაობის, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული სამუშაოს აღრიცხვის ნუსხა

20 წლის ---------- თვე

№	საკრებულოს წევრის გვარი, სახელი	ამომრჩევლებთან მუშაობა			ცალკეული დავალებები	
		ამომრჩევ. მიღება	საჩივარ–განცხადებების განხილვა	შეხვედრები და ანგარიშის ჩაბარება	თავმჯდომარის	საკრებულოს
1.						
2.						
3.						
4.						
5.						

საკრებულოს აპარატის უფროსი (სახელი, გვარი, ხელმოწერა)

შენიშვნა:

1. ნუსხა ივსება საკრებულოს აპარატის მიერ, საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების (ოქმის, მოხსენებითი ბარათის) შესაბამისად.
2. ამომრჩევლებთან მუშაობაში იგულისხმება ამომრჩეველთა მიღება, მათი წერილების, წინადადებებისა

და საჩივრების განხილვა, შეხვედრების ჩატარება;

3. ამომრჩევლებთან მუშაობის წინამდებარე ნუსხაში გასათვალისწინებლად, საკრებულოს წევრი წარმოადგენს ამომრჩევლებთან (შეხვედრის, მიღების) მუშაობის ოქმს, რომელშიც აღინიშნება დრო, ადგილი, დამსწრე პირების რაოდენობა, თემატიკა და შესაძლებლობის შემთხვევაში, ამომრჩევლების მონაცემები.

დანართი №3

საკრებულოს წევრის მუდმივი კომისიის/ფრაქციის სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული სამუშაოს აღრიცხვის ნუსხა

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ----------

საკრებულოს კომისია/ფრაქცია ---------- წარმოგიდგენთ წევრების სხდომებზე დასწრებისა და საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებული სამუშაოების ნუსხას:

20 წლის _____ თვე __

№	კომისიის / ფრაქციის წევრის გვარი, სახელი	სხდომებზე დასწრება			განსახილველი საკითხების შესწავლა, განხილვაში მონაწილეობა	
		სხდომათა რაოდენობა	დასწრების რაოდენობა	საპატიო მიზეზითგაცდენების რაოდენობა	უნდა შეესწავლა საკითხი, მიეღო მონაწილეობა	არ შეუსწავლია საკითხი, არ მიიღო მონაწილეობა
1.						
2.						
3.						
4.						
5.						

კომისიის/ფრაქციის თავმჯდომარე (სახელი, გვარი, ხელმოწერა)

შენიშვნა:

1. ნუსხის წარდგენა ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით.
2. საკითხის შესწავლაზე და განსახილელ საკითხებში მონაწილეობაზე უარის თქმა საპატიოდ ითვლება მაშინ, როდესაც აღნიშნულის კანონით გათვალისწინებული მიზეზი დაფიქსირებულია სხდომის ოქმში.

დანართი №4

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების სხდომებზე დასწრებისა და განსახილველი საკითხების შესასწავლად გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით

განხორციელებული სამუშაოს აღრიცხვის ნუსხა

20 წლის ---------- თვე

		სხდომებზე დასწრება			განსახილველი საკითხების შესწავლა, განხილვაში

№	საკრებულოს წევრის გვარი, სახელი	სხდომათა რაოდენობა	დასწრების რაოდენობა	საპატიო მიზეზით გაცდენების რაოდენობა	მონაწილეობა	
					უნდა შეესწავლა საკითხი, მიეღო მონაწილეობა	არ შეუსწავლია საკითხი, არ მიიღო მონაწილეობა
1.						
2.						
3.						
4.						
5.						

საკრებულოს აპარატის უფროსი (სახელი, გვარი, ხელმოწერა)

შენიშვნა:

1. ნუსხის წარდგენა ხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით.
2. საკითხის შესწავლაზე და განსახილელ საკითხებში მონაწილეობაზე უარის თქმა საპატიოდ ითვლება მაშინ, როდესაც აღნიშნულის კანონით გათვალისწინებული მიზეზი დაფიქსირებულია სხდომის ოქმში.

დანართი №5

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა

„ვამტკიცებ“
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(სახელი, გვარი, ხელმოწერა):

------ ---------- 20 წელი

უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა:

საკრებულოს თავმჯდომარე (სახელი, გვარი, ხელმოწერა)

შენიშვნა:

1. საკრებულოს წევრს, თვის განმავლობაში, უფლებამოსილების სრული მოცულობით შესრულების შემთხვევაში, ხარჯები აუნაზღაურდება არაუმეტეს 400 ლარისა.
2. საპატიო მიზეზით უფლებამოსილების სრული მოცულობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხარჯების ანაზღაურების გამოთვლა მოხდება შემდეგი გაანგარიშებით: **400xY÷X=Z** სადაც:

400 – არის დადგენილი, ლიმიტირებული თანხის მთლიანი მოცულობა,

Y – არის ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებების (სამუშოს, შეხვედრის, დავალების შესრულების, სხდომებზე დასწრების, საკითხის განხილვაში მონაწილეობის) რაოდენობა, რომლებშიც მიიღო მონაწილეობა,

X – არის განსახორციელებული ქმედების (შესასრულებელი სამუშაოს, შეხვედრის, დავალების შესრულების, სხდომებზე დასწრების, საკითხის განხილვაში მონაწილეობის) საერთო რაოდენობა, რომლებშიც უნდა მიეღო მონაწილეობა,

Z – საბოლოოდ ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა.

3. არასაპატიო მიზეზით უფლებამოსილების შეუსრულებლობისა და საკრებულოს რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში, საკრებულოს წევრს მიმდინარე თვის ხარჯი არ აუნაზღაურდება.

№	საკრებულოს წევრისგვარი, სახელი	უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით შესრულებული სამუშაო			გაცდენები, უფლებამოს. შეუსრულებლობა, საკითხების განხილვა, მ/შორის:		თანხა
		ამომრჩევლ. მუშაობა	კომისია/ ფრაქცია	საკრებულ. სხდომები	საპატიო	არასაპატიო	სულ
1.							
2.							
3.							
4.							
5.							